



საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე

ქუთაისი 4600, ირაკლი აბაშიძის გამზირი № 26
პარლამენტის სასახლე

ბრძანება

N 65/3

19/03/2018

საქართველოს კონსტიტუციასთან საქართველოს საკანონმდებლო აქტების ჰარმონიზაციის საპარლამენტო კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 107-ე მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

მუხლი 1. „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2017 წლის 13 ოქტომბრის №1324-რს კონსტიტუციური კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით, საქართველოს კონსტიტუციასთან საქართველოს საკანონმდებლო აქტების ჰარმონიზაციის პროცესის კოორდინაციის მიზნით შეიქმნას საქართველოს კონსტიტუციასთან საქართველოს საკანონმდებლო აქტების ჰარმონიზაციის საპარლამენტო კომისია (შემდგომ – კომისია) შემდეგი შემადგენლობით:

1. ირაკლი კობახიძე – საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, კომისიის თავმჯდომარე.
2. თამარ ჩუგოშვილი – საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე.
3. ოთარ დანელია – საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე.
4. სოფიო კილაძე – საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე.
5. მარიამ ჯაში – საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე.
6. კახაბერ კუჭავა – საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარე.
7. რომან კაკულია – საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე.

8. ზვიად კვაჭანტირაძე – საქართველოს პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე.

9. თამარ ხულორდავა – საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე.

10. ირაკლი სესიაშვილი – საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე.

11. ეკა ბესელია – საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე.

12. ზაზა გაბუნია – საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარე.

13. სოფიო ქაცარავა – საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე.

14. გიორგი კახიანი – საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარე.

15. ირაკლი კოვზანაძე – საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე.

16. მიხეილ ყაველაშვილი – საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე.

17. აკაკი ზოიძე – საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე.

18. დავით ბაქრაძე – საპარლამენტო უმცირესობის ლიდერი.

19. რომან გოცირიძე – საპარლამენტო ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე.

20. გიორგი ლომია – საპარლამენტო ფრაქცია „საქართველოს პატრიოტების“ თავმჯდომარე.

21. სალომე ზურაბიშვილი – დამოუკიდებელი პარლამენტის წევრი.

22. ნიკოლოზ სამხარაძე – საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტის უფროსი, კომისიის მდივანი.


მუხლი 2. საჭიროების შემთხვევაში კომისიის თავმჯდომარე უზრუნველყოფს კომისიის მუშაობაში საქართველოს მთავრობის, აკადემიური წრეებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობას.

მუხლი 3. კომისიის პირველი სხდომა მოწვეულ იქნეს ამ ბრძანების ძალაში შესვლიდან 2 კვირის განმავლობაში.

მუხლი 4. ბრძანება საჯაროდ გამოცხადდეს 2018 წლის 19 მარტს და ძალაში შევიდეს საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

მუხლი 5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საჯაროდ გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრამის ქ. №11).

ირაკლი კობახიძე

A handwritten signature in black ink, appearing to read 'I. Kobakhidze', written in a cursive style.